ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 11 მარტი, 2019 წელი

დრო: 12:00 -13:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია თბილისი - ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ეკა გეგეშიძე - ჟუნიორ ეჩივმენტი საქართველო
4. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
5. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა

განსახილველი საკითხები:

- მაღალი დონის კონფერენციის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები
- სექტორალური შეხვედრების დაგეგმვის საკითხი

- სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ, ნათია კუპრაშვილმა.

საკოორდინაციო საბჭომ განიხილა მაღალი დონის კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებ შორის მოხდა დეტალურად გავლა ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის, რომელიც მაღალი დონის კონფერენციაზე დაისმება.

2019 წლის მარტში დაგეგმილ კონფერენციას დაესწრებიან საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი დონის წარმომადგენლები, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე და ევრო დელეგაციის შემადგენლობა, ასევე ორგანიზაციები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და მედიის წარმომადგენლები. დამსწრეებს სიტყვით მიმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონული განვითარების საკითხებს და შესაბამისად, ღონისძიებას დაესწრება 300 მდე არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განიხილეს სექტორული თანამშრომლობის ფარგლებში დასაგეგმი შეხვედრების საკითხი. მნიშვნელოვანია რომ ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები მოემზადონ ყველა იმ საკითხთან მიმართებით, რომელსაც ჯგუფები განიხილევენ ჯგუფის შეხვედრაზე და ჩამოყალიბდებიან, თუ რა მიმართულებით და რომელ უწყებებთან სურთ სექტორული შეხვედრების ჩატარება.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე